საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/1862
2012 წლის 15 ოქტომბერი

ქ. თბილისი

სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (გარდა რადიაციული ან ბირთვული ობიექტებისა) მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმების, მათ შორის ელექტრონული სანებართო მოწმობის ფორმების, მათი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვა-ანგარიშგების წესის ა და სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვის ელექტრონული ფორმით გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 21 ნოემბრის ბრძანება №1-1/648 - ვებგვერდი, 24.11.2016 წ.

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (გარდა რადიაციული ან ბირთვული ობიექტებისა) მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი (დანართი №1).

2. დამტკიცდეს:

ა) სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების სანებართვო მოწმობის ფორმა თანდართული სახით (დანართი №2);

ბ) განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (გარდა რადიაციული ან ბირთვული ობიექტებისა) მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმა თანდართული სახით (დანართი №3);

3. დამტკიცდეს თანდართული სანებართვო მოწმობის ფორმების აღრიცხვის ჟურნალი (დანართი №4).

4. დამტკიცდეს თანდართული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვა-ანგარიშგების წესი (დანართი №5).

5. დამტკიცდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმა თანდართული სახით (დანართი №6).

6. დამტკიცდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმების აღრიცხვის ჟურნალი თანდართული სახით (დანართი №7).

7. დამტკიცდეს გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმების ჩამოწერის შესახებ აქტის ფორმა (დანართი №8).

7^1. დამტკიცდეს სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ელექტრონული სანებართვო მოწმობის ფორმა თანდართული სახით (დანართი №9);

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 21 ნოემბრის ბრძანება №1-1/648 - ვებგვერდი, 24.11.2016 წ.

7^2. დამტკიცდეს განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (გარდა რადიაციული ან ბირთვული ობიექტებისა) მშენებლობის ელექტრონული სანებართვო მოწმობის ფორმა თანდართული სახით (დანართი №10).

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 21 ნოემბრის ბრძანება №1-1/648 - ვებგვერდი, 24.11.2016 წ.

7^3. დამტკიცდეს სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვის ელექტრონული ფორმით გაცემის წესი და პირობები (დანართი №11).

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 21 ნოემბრის ბრძანება №1-1/648 - ვებგვერდი, 24.11.2016 წ.

8. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 29 ნოემბრის №1–1/2502 ბრძანება „სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (გარდა რადიაციული ან ბირთვული ობიექტებისა) მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმების, მათი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილი დადგენილების ფორმების, ადმინისტრაციული სამართალდარვევათა საქმის წარმოებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების

თაობაზე“.

9. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი	**ვერა ქობალია**